



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ ქიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი

N12 განყოფილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: ცირა ბრეგვაძე

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: სოფიო გოცირიძე

კვების დარგში ექსპერტი: ნინო მელიქიძე

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ინგა კობახიძე



ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი
საიდენტიფიკაციო ნომერი	215613254
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება	N 12 განყოფილება
სახელწოდება ინგლისურ ენაზე	NNJP UNITED KINDERGARTEN OF CHIATURA
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, ჭიათურა ნინოშვილის ქ. N 11
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, ჭიათურა მ. კოსტავას N 7
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	

დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 0250001006083 20/08/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	4-5 სექტემბერი
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ					
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.					
N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	”ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; სასკოლო მზაობის პროგრამა - თამაში .”	ქართული		80
					ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☒
					რეკომენდირებული რაოდენობა 58

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

2025 წლის 4 და 5 სექტემბერს, ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილებაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ცირა ბრეგვაძე-ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე)
2. კურიკულუმის ექსპერტი: სოფიო გოცირიძე
3. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ინგა კობახიძე
4. კვების დარგში ექსპერტი: ნინო მელიქიძე.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და გადმოგზავნილ დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი მასალები. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილების პერსონალი გამოხატავდა მიმღებლობას და პოზიტიურ განწყობას ექსპერტთა ვიზიტის დროს, ექსპერტებიც ასევე პოზიტიურად ვიყავით განწყობილი პერსონალის მიმართ.

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა წინასწარ მოთხოვნილი დოკუმენტაცია. დაწესებულებას შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტები და მარეგულირებელი წესები, თუმცა ვერ წარმოადგინა მეთოდოლოგიის და მათ მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისი

მტკიცებულებები. ასევე გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა, თუმცა არის შემთხვევები, რომ სტანდარტის ყველა კომპონენტს არ მოიცავს/შეესაბამება აქტივობები, რომლითაც დაკმაყოფილდება, კონკრეტული ინდიკატორის მოთხოვნა. ვიზიტის ფარგლებშიც ექსპერტებმა თავიანთი მიმართულებების მიხედვით იმუშავეს დასკვნის მომზადებისთვის საჭირო ინფორმაციის

თითოეული დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტი. მიმართულებების მიხედვით დაწესებულებას მიეწოდა ინფორმაცია ვიზიტის მიგნებების შესახებ.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N 12 განყოფილების საუკეთესო გამოცდილება რაც დაწესებულებას გამორჩეულს ხდის და ადგილზე ვიზიტისას თავლშისაცემი იყო, დაწესებულებას აქვს საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის პროექტის- „ადრეული ინტერვენციისა და ინკლუზიური განათლების სერვისების გაუმჯობესება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის საქართველოში“ ფარგლებში შესაბამისი მასალითა და რესურსით აღჭურვილი დარბაზი, სადაც განთავსებულია მოტორული განვითარების ხელშემწყობი ინვენტარი, რომელიც ასევე ავითარებს სხვადასხვა სენსორულ არხებს: ვიზუალური, ტაქტილური, პროპრიოცეპტული, ვესტიბულური.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

.....
.....
.....



9. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² პროგრამის სახე-სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა კურიკულუმის დასახელება-1) ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“-2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის. 2) სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.		
2. კურიკულუმი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი III ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი



1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილებას წარმოდგენილი აქვს მისია დანართი-1 დოკუმენტით. მისია შემდეგნაირად ჟღერს - „ჩვენი მისიაა შევქმნათ ხალისიანი და ინკლუზიური სასწავლო გარემო სადაც შევძლებთ აღვზარდოთ ისეთი მომავალი თაობა რომელიც წარმატებით შეძლებს სოციალურ თავის დამკვიდრებას“. წარმოდგენილი მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი. წარმოდგენილ მისიაში გამოკვეთილია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები - წარმოდგენილია დანართი-1 დოკუმენტით.

დაწესებულების ხედვა: „ჩვენს ხედვაში, 10 წლის შემდეგ საბავშვო ბაღების პერსონალი იქნება კომპეტენტური და კვალიფიციური, ბაღები აღჭურვილი იქნება კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო მრავალფეროვანი რესურსების და ბაღის ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთვება ოჯახი და თემი“.

დაწესებულების ღირებულება: 1.უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა. 2. თანამშრომლობა. 3. გუნდურობა.“
დაწესებულების ხედვა გამომდინარეობს მისიიდან. დაწესებულების ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან. ღირებულებები წარმოადგენს ორგანიზაციის კულტურის ნაწილს;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილების მისის, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესი ასახულია სტრატეგიული დაგეგმვისა და შეფასების წესში ; აღნიშნული წესი დამტკიცებულია ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 1 აგვისტოს # 280 ბრძანებით . დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტში -მუხლი-4 განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და გათვალისწინებულია მათი ჩართულობა. ამავე წესში მუხლი-7 განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი; გაერთიანების მიერ 2024 წლის 2 აგვისტოს ბრძანება N282 ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, შემუშავების პროცესში ჩართულია გაერთიანების კოორდინატორი სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, მთავარი სპეციალისტი მეთოდურ საკითხებში ,განყოფილების უფროსი საბუღალტრო და შესყიდვების საკითხებში , იურისტი, N1, N3, N10, #12 ,სოფელ უსახელოს და სოფელ ზოდის ბაღის მენეჯერები . დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ოქმები ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანების (02.08.2024 წელი ოქმი N#1 ; 05.08.2024 წელი ოქმი N#2; 20.08.2024 წელი ოქმი N#3) სახით სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....



4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილების მისია , ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან რაც დასტურდება: ააიპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის #12 განყოფილების (აღმზრდელთა და მშობელთა საერთო სხდომის ოქმი) შეხვედრის ოქმით 26.09.2024 წელი ოქმი N#3-ით და შესაბამისი ფოტომასალით , რომელიც ოქმს თან ერთვის ; მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი რაც დასტურდება: ბაღის შენობაში თვალსაჩინო ადგილას , კერძოთ საინფორმაციო დაფაზე გამოკრული მისიის ხედვის და ღირებულების დოკუმენტით; ასევე დოკუმენტი გაზიარებულია ბაღის სოციალურ ქსელში ; აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.დანართი-1 ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N12 განყოფილების მისია , ხედვა და ღირებულება;
- 2.დანართი-2 ააიპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 01.08. 2024წლის ბრძანება # 280 -ით დამტკიცებული - სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი;
3. ააიპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 2 აგვისტოს ბრძანება N282 ბრძანება ;
4. ააიპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 2 აგვისტოს ბრძანება N282 ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები: (02.08.2024 წელი ოქმი N#1 ; 05.08.2024 წელი ოქმი N#2; 20.08.2024 წელი ოქმი N#3);
5. ააიპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის #12 განყოფილების (აღმზრდელთა და მშობელთა საერთო სხდომის ოქმი) 26.09.2024 წელი ოქმი N#3;

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილებას აქვს ააიპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 1 აგვისტოს ბრძანება N280 -ით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის და შეფასების წესი- რომლის მე-10 მუხლში წარმოდგენილია სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილია სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის დანართად- #2 ; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ფორმას და პერიოდულობას- ააიპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 1 აგვისტოს ბრძანება N280 -ით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის და შეფასების წესი-მუხლი#13.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ფორმას და პერიოდულობას , რომლის მიხედვითაც მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში 2-ჯერ , შუალედური- 2,5 წლის შემდეგ და საბოლოო 5 წლის შემდეგ;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული გეგმის შეფასების ფორმას და პერიოდულობას; მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ განხორციელდება შეფასების პროცესი ;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სამოქმედო გეგმის შეფასების ფორმას და პერიოდულობას

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას (განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და მათი ჩართულობის გზები) -სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის და შეფასების წესის მე-4 მუხლი განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ჩართვის შესაძლებლობას

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა



.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

1. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილებას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული „კერძოდ ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორიის 2024 წლის 2 სექტემბრის ბრძანება #322-ით. (დანართი-3) წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული გეგმა ხუთწლიანია და ის არის ციკლური. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ასახულია ააიპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღების განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. გაერთიანების მიერ წარმოდგენილი 2024-2029 წლის სტრატეგია ეფუძნება შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს: კურიკულუმი, ოჯახი და თემი, ინკლუზიური განათლება და ადმინისტრაციული მხარდაჭერა; ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან, მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
.....

რჩევა



.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილებას წარმოდგენილი აქვს სამოქმედო გეგმა (დანართი-#3) და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ კერძოდ ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 2024წლის 2 სექტემბრის ბრძანება #322. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, მორგებულია სასწავლო წელს და ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას;

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ეფუძნება დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას. „ სვოტ“ ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა თემატური მიმართულებები; ბაღის 2024-2029 წლის სტრატეგია ეფუძნება შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებების: კურიკულუმი, ოჯახი და თემი, ინკლუზიური განათლება და ადმინისტრაციული მხარდაჭერა;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა



.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
.....

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილებას წარმოდგენილი აქვს ააიპ ჭიათურის გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 2 სექტემბრის ბრძანებით #322 დამტკიცებული , სამოქმედო გეგმა (დანართი-#3) ; სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები ,რომლებიც შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და აქტივობებს. გაწერილია აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი. სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულების რეალისტური ვადები და ამ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები ან სტრუქტურული ერთეულებია. გეგმაში ასევე გაწერილია შესაბამისი რესურსები (ადამიანური და მატერიალური) ყველა აქტივობაზე და ამ რესურსების უზრუნველყოფა რეალისტურია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
.....

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 01.09.2024 # 280 ბრძანებით დამტკიცებულ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში , მუხლი-13 - დაწესებულებას გაწერილი აქვს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის და შეფასების წესი, რომლის თანახმადაც 5 წლიანი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს განახორციელებს 2,5 წელიწადში და ბოლოს; ამავე წესის თანახმად მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ ,შეფასებას კი წლიურად , რაც დასტურდება დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმებით: კერძოდ 2025 წლის 24 იანვრის #8 სხდომის ოქმი (სამოქმედო გეგმის მონიტორინგი) და სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმებით: კერძოდ 2025 წლის 20 აგვისტოს #9 სხდომის ოქმი (სამოქმედო გეგმის მონიტორინგი) ; აღნიშნულ ოქმებში განხილულია შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების სტატუსი: თითოეულ აქტივობას მინიჭებული აქვს სტატუსი: „შესრულდა“, /„ნაწილობრივ შესრულდა“/“ არ შესრულდა“

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
.....

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული (ხუთწლიანი) და სამოქმედო (ერთწლიანი) გეგმა. (ბრძანება #322. 02/09/2024 წელი) ასევე სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი (ბრძანება # 280 01/08/ 2024 წელი) - დოკუმენტის თანახმად ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი ანგარიშვალდებულია სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში განახორციელოს 2,5 წელიწადში ერთხელ, ხოლო სამოქმედო გეგმის ყოველი წლის ბოლოს. ანგარიშგების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება-ბაღის სოციალურ სივრცეში ასევე მე-6 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია საკომუნიკაციო არხები;

შესაბამისად ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი N 12 განყოფილებას სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები წარმოდგენილი აქვს წლიური ანგარიშის სახით წერილობით/ნარატიული ფორმით . რომელიც ხელმისაწვდომია საჯაროდ, კერძოდ გამოქვეყნებულია ბაღის სოციალურ სივრცეში, ასევე მოხდა მისი გაზიარება საჯარო შეხვედრებზე. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებულია შემდგომი განვითარებისთვის რაც დასტურდება იმით რომ დოკუმენტის თანახმად შუალედური შეფასების პროცესში ვლინდება ზუსტი საჭიროებები და საჭიროების შემთხვევაში ხდება დაკორექტირება მიზნებისა და ამოცანების. დაწესებულება სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ახორციელებს წელიწადში ორჯერ სემესტრულად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი-2 ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 01.08.2024წ ბრძანება # 280-ით დამტკიცებული-სტრატეგიული დაგეგმვისა და შეფასების წესი .
2. დანართი -3 ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის ბრძანება #322. 02/09/2024 წელი დამტკიცებული სტრატეგიული (ხუთწლიანი) და სამოქმედო (ერთწლიანი) გეგმა.
3. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი- 02.08.2024წ - #1;
4. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი- 05.08.2024წ -#2;
5. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი- 20.08.2024წ-#3 ;
6. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი- 21.08.2024წ #4
7. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი- 22.08.2024წ-#5
8. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი- 29.08.2024წ-#6
9. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი- 2025 წლის 24 იანვრის #8;
10. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი -2025 წლის 20 აგვისტოს ი #9
11. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დამტკიცებული-სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში
12. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის ბრძანება #282. 02/08/2024 წელი-სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის ბრძანება ;
13. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის #12 განყოფილების მშობელთა კრების ოქმი 26 სექტემბერი ;



შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

1) ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“-2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის.

2) სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დადაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის.

³მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

(ბრძანება N 356. 09/09/2024). ბრძანების დანართებში წარმოდგენილია: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში -ნაწილი I და ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში -ნაწილი II

➤ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

(ბრძანება N 356. 09/09/2024). ბრძანების დანართებში წარმოდგენილია: აღმზრდელის სახელმძღვანელო; სასკოლო მზაობის პროგრამა - ნაწილი I; სასკოლო მზაობის პროგრამა - ნაწილი II

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ბრძანება კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (ბრძანება N304. 29/08/2024), რომელიც განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის (ბრძანება N 303. 26/08/2024) მეორე მუხლის (კურიკულუმის შერჩევა) პირველ და მეორე პუნქტებში: 1. კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა; ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა; გ) კურიკულუმების შერჩევა; დ) კურიკულუმების დამტკიცება. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტად განსაზღვრული ეტაპების განხორციელებისათვის გაერთიანების დირექტორის ბრძანებით იქმნება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის.
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას რაც ვლინდება: განვითარების ყველა ძირითადი სფეროს დაფარვაში, თამაშზე დაფუძნებულ მიდგომაში, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაში, ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის ხელშეწყობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის.
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“



ზემოაღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ აქტივობა, თავად დაასახელონ თემა, იპოვონ გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- სივრცე დაყოფილია ცენტრებად, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს თამაშისთვის;
- თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმის ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის.
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - საადმინისტრაციო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და

საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში; საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან კავშირის დამყარებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის.
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

ბავშვები ჩართული არიან სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, იძენენ სხვადასხვა ტიპის გამოცდილებებს, რაც უზრუნველყოფს ჰოლისტიური განვითარების ხელშეწყობას, აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები/საჭიროებები. ასევე გათვალისწინებულია შერეული ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის.
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღს დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შერჩევის გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (ბრძანება N 303. 26/08/2024)); აღნიშნული დოკუმენტის მესამე მუხლის, პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმებს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს; დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ მშობლები, დაწესებულების პერსონალი, თემი/მუნიციპალიტეტი; დაწესებულება კურიკულუმების გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს.

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღს დამტკიცებული აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი 7; ბრძანება N282. 02/08/2025). აღნიშნული დოკუმენტის მეოთხე მუხლის (საკომუნიკაციო არხების შერჩევა) მესამე პუნქტის თანახმად ა (ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია: ა)პირისპირ შეხვედრები; ბ) ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის სოციალური მედიის პლატფორმები; გ)საინფორმაციო დაფები; დ) მოკლეტექსტური შეტყობინება/სატელეფონო ზარი; 5)სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება N12 განყოფილების საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 243. 17/07/2025), რომლის თანახმადაც შეიმუშავა ა (ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N12 განყოფილების 2024-2025 წლის საკომუნიკაციო გეგმა, სადაც შერჩეული კურიკულუმის მიზნების და შინაარსის გაცნობის მიზნით გაწერილი აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრები, თუმცა საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანების თარიღი არ ემთხვევა N12 განყოფილების საკომუნიკაციო გეგმის თარიღს, ბრძანება დამტკიცებულია 2025 წლის 17 ივლისს, ხოლო N12 განყოფილების საკომუნიკაციო გეგმა წარმოდგენილია 2024-2025 წლის ვადით; საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილ აქტივობებში განსაზღვრულია დაწესებულების თანამშრომლებთან შეხვედრა შერჩეული კურიკულუმის გაცნობა/გაზიარების მიზნით. ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ასევე თანამშრომლებთან შეხვედრის ოქმი (ოქმი N 7) შერჩეული კურიკულუმის განხილვა-გაზიარების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია.....
.....
.....

რჩევა

დაწესებულებამ განახორციელოს თანმიმდევრული სამუშაოები მისივე მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კერძოდ: დაწესებულებამ საკომუნიკაციო გეგმა შეიმუშაოს მარეგულირებელი წესის (საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის) შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის „კურიკულუმის შერჩევის გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ (დანართი 5. ბრძანება N 303. 26/08/2024))
2. ბრძანება კურიკულუმის და საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ (N 356. 09/09/2024

3. დანართი N4 - ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - ნაწილი I, ნაწილი II;
4. დანართი N4 - სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში- ნაწილი I, ნაწილი II, აღმზრდელის სახელმძღვანელო.
5. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი 7; ბრძანება N282. 02/08/2025).
6. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის N3 განყოფილების საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 243. 17/07/2025),
7. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის N3 განყოფილების ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (2024-2025 წ.).
8. თანამშრომლებთან და მშობლებთან შეხვედრის ოქმი *შერჩეული კურიკულუმის გაცნობის მიზნით* (ოქმი N 2)

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის.
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღს დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი 6. ბრძანება N505. 29/11/2024). სავალდებულო დოკუმენტაციის

წარმოდგენისას დაწესებულებას აღნიშნული დოკუმენტი არასრული სახით აქვს გადაგზავნილი ცენტრისთვის (დოკუმენტს აკლია მეოთხე, მეექვსე და მერვე გვერდები), ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ დოკუმენტი წარმოადგინა სრული სახით.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომში-გეგმა/გეგმები), დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი ყოველკვირეული და გრძელვადიანი წლიური და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია.....
.....
.....

რჩევა.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღს დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (დანართი 6. ბრძანება N505. 29/11/2024). მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მესამე და მეოთხე პუნქტების თანახმად: გრძელვადიანი გეგმები იქმნება გაერთიანების მმართველის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და განყოფილების მენეჯერი; მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშაუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინე დირექტორის ბრძანება გრძელვადიანი გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (ბრძანება N525. 24/12/2024), დოკუმენტის თანახმად N12 განყოფილების სამუშაო ჯგუფს წარმოადგენს მენეჯერი, მეთოდისტები, აღმზრდელი და ფსიქოლოგი.

დოკუმენტს (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი) თან ახლავს მოკლევადიანი (დანართი N 3) და გრძელვადიანი (დანართი N 5) გეგმების ფორმები დანართების სახით, რომლებიც არ არის დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით; მარეგულირებელი წესის მესამე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად კი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებული უნდა იყოს დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა.....

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია შემდეგ საკითხზე: კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ. დაწესებულებამ ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობის გაბათილების მიზნით წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები: ბრძანება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში ცვლილებების განხორციელების შესახებ (N433. 07/10/2025. დანართი N4), აღნიშნულ დოკუმენტში დანართის სახით დამტკიცდა გრძელვადიანი (წლიური) (დანართი N4) და მოკლევადიანი (ყოველკვირეული) (დანართი N3) გეგმების ფორმები. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება: ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის - „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი 6. ბრძანება N505. 29/11/2024) თანახმად დაწესებულებაში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:



- აღმზრდელის პორტფოლიო
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიო

ზემოთ აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტის მეათე მუხლის (პორტფოლიოების წარმოება) მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტების თანახმად: 2. აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა) დღის განრიგი; ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები; გ) რეფლექსური ჩანაწერები. 3. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები; გ) ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრების ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს. 4. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ფსიქოლოგი, ლოგოპედი: ბავშვზე დაკვირვების და შეფასების ანალიზი, რეფლექსური ჩანაწერი.

მარეგულირებელი წესის თანახმად აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზი ნათლად ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....



4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის - „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“ (დანართი 6. ბრძანება N505. 29/11/2024) თანახმად ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების ასახვის მიზნით დაწესებულებაში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი;
- აღმზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
- რეფლექსიური ჩანაწერები;
- ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები.
- მშობლის უკუკავშირი
- საგანმანათლებლო პროცესში განხორციელებული აქტოვობების ანალიზი

მარეგულირებელი დოკუმენტის მეოთხე მულის თანახმად ინდივიდუალიზაცია ვლინდება: ა) მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანით/გაწერით; ბ) ინდივიდუალური გეგმის შედგენით. ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები; ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მარეგულირებელი დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი) მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მეხუთე პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად მოკლევადიანი დღის გეგმები მოიცავს შემდეგ ასპექტებს: თამაშზე ორიენტირებულ პროცესი; სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება.

ადგილზე ვიზიტის პროცესში, აღმზრდელებთან ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ მათ აქვთ ცოდნა თამაშით წარმართონ სივრციდან სივრცეში გადასვლისას (მაგ. ოთახიდან ეზოში, სეირნობიდან ოთახში, კვებაზე გადასვლა) რუტინული აქტივობები (ქვიშის საათი, სიმღერები). ტრანზიცია აღქმულია თამაშის გაგრძელებად და არა მკვეთრ გადართვად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მარეგულირებელი დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი) მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მეხუთე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად მოკლევადიანი გეგმის, დღის განრიგის ერთ-ერთი ასპექტი არის სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა.

აღმზრდელებთან ინტერვიუებისა და გარემოს ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ჯგუფებში არსებული რესურსის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად ექნებათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა.

გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას იკვეთება, რომ ეზოს სივრცეში ნაკლებად შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის თამაშების განხორციელება, დაწესებულების ეზოში განთავსებულია მეორადი მოხმარების რამდენიმე შეღებილი საბურავი; ძველი, ბეტონის ფანტანის კონსტრუქცია, ეზოს გარემო არ შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, თუმცა დაწესებულებას მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტის ნაწილში გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა, შესაბამისობის ტიპი-მეტწილი, იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღწერაში იკვეთება საკითხი „გარე სივრცეში არ არის საქანელა, სათამაშო სახლი, დასაჯდომი სკამები და მაგიდა, ბალანსის აღჭურვილობა, დრამატული სივრცე“. შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობების გრაფაში იკითხება „ფინანსების მოძიება, ბაზრის კვლევა/ტენდერის გამოცხადება, შესყიდვის პროცესის განხორციელება“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არის მეტწილად დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი: ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის – „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (დანართი 6. ბრძანება N505. 29/11/2024)

მეხუთე მუხლის თანახმად (საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფად რესურსების განსაზღვრა): 1. დაწესებულების მიერშერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს. 2) დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს. 3) დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს. 4) დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისათვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს. 5) საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას. 6) მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება გაერთიანების მმართველის ბრძანებით კურიკულუმთან ერთად. 7) დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავლო მრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება კურიკულუმისა და საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 356. 09/09/2024), ბრძანებას თან ახლავს კონკრეტული რესურსების ჩამონათვალი დანართის სახით.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ბაზა ბაღების მიხედვით, რაც შეეხება სათამაშოების შესყიდვის განხორციელებას 2019 წლის შემდეგ არ აქვს ადგილი და შესაბამისად სქემის მომდევნო ეტაპების განხორციელება არ დასტურდება. მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს, რომ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის საჭიროების შესახებ

ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება ყოველწლიურად, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით, რაც მტკიცებულებით არ დასტურდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესში რესურსების შეუფერხებლად მიწოდება დამტკიცებული წესის შესაბამისად.

რჩევა

განახლდეს საინვენტარიზაციო აღწერის დოკუმენტი (ჩატარდეს ინვენტარიზაცია).

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულების მიერ

საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (1. კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაბამისი რესურსების განსაზღვრა; 2. განფასება; 3. ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსების გამოყოფა და შესყიდვების განხორციელება), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების დირექტორი) და საჭირო რესურსები - მატერიალური/ადამიანური/ფინანსური (განყოფილების მენეჯერი; შესყიდვის სპეციალისტი, ბუღალტერი, გაერთიანების ბიუჯეტი). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 29 ნოემბერი 2024 წლის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად დამტკიცებული საგანმანათლებლო რესურსის მინიმალური ჩამონათვალი, დამტკიცებული ა(ა)იპ ჭიათურის

გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 09 სექტემბრი 2024 წლის N-356 (პრიმა) ბრძანებით „კურიკულუმისა და საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“. ბრძანების თანდართული ფორმით დამტკიცებულია განვითარების სფეროების მიხედვით მინიმალური რესურსის ჩამონათვალი, რაც აუცილებელია კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ჩამონათვალი მოიცავს რესურსის დასახელებას და მინიმალურ რაოდენობას.

ადგილზე ვიზიტისას, ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებაში წარმოდგენილია ბუნებრივი და მეორადი მასალა. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა პროექტის პარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაცემული ინვოისი, სადაც წარმოდგენილია დაწესებულებისთვის გადაცემული საბავშვო წიგნების ჩამონათვალი, დოკუმენტი დათარიღებულია 2024 წლის 20 დეკემბრით. ვერ იქნა მოძიებული საბავშვო ლიტერატურის მიღება-ჩაბარების აქტები; წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი არ არის დაწესებულების თვითშეფასების ფორმაში მითითებული ბავშვების რაოდენობის შესაბამისი. დაწესებულებას მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტის ნაწილში გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა, შესაბამისობის ტიპი-მეტწილი, იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღწერაში იკვეთება საკითხი „არ არის საკმარისი სახელმძღვანელოები და ფიზიკური, სენსორული,შემეცნებითი რესურსი თემატური მიმართულებებისთვის; შიდა და გარე სივრცეები არ არის სრულად აღჭურვილი კურიკულუმის შესაბამისი რესურსით და ნაწილობრივ შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს; გარე სივრცეში არ არის საქანელა, სათამაშო სახლი, დასაჯდომი სკამები და მაგიდა, ბალანსის აღჭურვილობა, დრამატული სივრცე“. შესაბამისობის გეგმის-„შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობების“ გრაფაში იკითხება „ფინანსების მოძიება, ბაზრის კვლევა/ტენდერის გამოცხადება, შესყიდვის პროცესის განხორციელება“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება გეგმით განსაზღვრულ ვადებში (უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსის შეძენა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით).

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ფიზიკური გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ პასუხობდეს კურიკულუმის მიზნებს, ბავშვის განვითარების სტანდარტსა და პროგრამის ხარისხის სტანდარტს; ბავშვებს ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს, კითხვების დასმისკენ უბიძგოს, კვლევა წახალისოს; ხელი შეუწყოს ემოციური კომპეტენციების განვითარებას, შემოქმედებითობას, სოციალიზაციას, ჯგუფის ერთობას და ბავშვებს შორის თანამშრომლობის წახალისებას. ბავშვებს ჰქონდეთ მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის საშუალება და სხვადახვა უნარის განვითარების შესაძლებლობა.

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“ (დანართი 6. ბრძანება N505. 29/11/2024) მეშვიდე მუხლის (გარემოს ფიზიკური მოწყობა) თანახმად: დაწესებულების ფიზიკურ გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს; კურიკულუმის განხორციელების პროცესში ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად; დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბრად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.

დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა ფიზიკური გარემოს (ჯგუფური ოთახების, შიდა და გარე სივრცის) ვიზუალური დათვალიერება. ჯგუფის ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა, ჯგუფების ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად (დრამატული, სამაგიდო, კუბურები, სენსორული, წიგნიერების, განმარტოების, ხელოვნების), შესაძლებელია მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში. ჯგუფის ოთახში ბავშვის სიმაღლის გათვალისწინებით კედელზე მოთავსებულია ვიზუალური დღის განრიგი და ცენტრების ვიზუალური მინიშნებები წარწერით. რესურსების უმრავლესობა (ქარხნული, მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი) განლაგებულია ბავშვის სიმაღლის ღია კარადებში, ნაწილი კი მოთავსებულია გამჭვირვალე კონტეინერებში, რომლებსაც აქვს ვიზუალური მინიშნებები; ჯგუფებში წარმოდგენილია

სივრცე ბავშვების ნამუშევრებისთვის, რომელის შესაძლებელია თავად ბავშვებმა გამოიყენონ; ჯგუფის მასალა და ავეჯი ბავშვებისთვის უსაფრთხოა.

ჯგუფის ოთახების კედელზე განთავსებულია ვიზუალური დღის განრიგი, ჯგუფის წესები და სხვადასხვა თვალსაჩინო მასალა; მისაღებში არის სივრცე მშობლებისათვის, სადაც მათთვის კედელზე განთავსებულია ასევე საინფორმაციო დაფა. დაწესებულებაში არის ფსიქოლოგის და ლოგოპედის ოთახები.

დაწესებულებას აქვს საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის პროექტის- „ადრეული ინტერვენციისა და ინკლუზიური განათლების სერვისების გაუმჯობესება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის საქართველოში“ ფარგლებში შესაბამისი მასალითა და რესურსით აღჭურვილი დარბაზი, სადაც განთავსებულია მოტორული განვითარების ხელშემწყობი ინვენტარი, ამავე ოთახში დგას მუსიკალური ინსტრუმენტი-პიანინო.

გარე სივრცეში/ეზოში შესაძლებელია ბურთის თამაში, განთავსებულია 1 სასრილო, 2 რკინის გადახურული კონსტრუქცია სკამებით, ასევე განთავსებულია არასტანდარტული საქვიშე (მცირე ზომის). ეზოში არ არის განთავსებული საქანელა, ბალანსის დაცვის სათამაშო; დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა არ არის კურიკულუმის შესაბამისი: არ აქვთ სივრცე სენსორული, დრამატული თამაშებისათვის, შენობა/კარავი, მაგიდა, სკამები, ბოსტანი.

დაწესებულებას მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტის ნაწილში გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა, შესაბამისობის ტიპი-მეტწილი, იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღწერაში იკვეთება საკითხი „არ არის საკმარისი სახელმძღვანელოები და ფიზიკური, სენსორული, შემეცნებითი რესურსი თემატური მიმართულებებისთვის; შიდა და გარე სივრცეები არ არის სრულად აღჭურვილი კურიკულუმის შესაბამისი რესურსით და ნაწილობრივ შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს; გარე სივრცეში არ არის საქანელა, სათამაშო სახლი, დასაჯდომი სკამები და მაგიდა, ბალანსის აღჭურვილობა, დრამატული სივრცე“. შესაბამისობის გეგმის- „შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობების“ გრაფაში იკითხება „ფინანსების მოძიება, ბაზრის კვლევა/ტენდერის გამოცხადება, შესყიდვის პროცესის განხორციელება“

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება გეგმით განსაზღვრულ ვადებში (გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად).

რჩევა

მნიშვნელოვანია დაწესებულების შიდა და გარე სივრცე ითვალისწინებდეს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, რაც ითვალისწინებს, რომ გარემო თანაბრად ხელმისაწვდომია სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, გარემოში მრავალფეროვანი სივრცეების მოწყობა და მრავალფეროვანი მასალით მომარაგება უზრუნველყოფს ბავშვის მონაწილეობას მათი ინტერესების და განსხვავებული შესაძლებლობების მიუხედავად. გარემო მარტივად აღქმადია და მინიმუმამდეა დაყვანილი

შემთხვევითი ან გაუთვალისწინებელი შემთხვევები; გარე სივრცე დაყოფილი იყოს სათამაშო სივრცეებად- მოძრავი თამაშების სივრცე, ბოსტანი ან ბაღი, სენსორული, დრამატული სივრცე, განთავსებული იყოს მაგიდა/ები, სკამები, საქვიში, გადახურული შენობა, სადაც ბავშვებს დიდ და მცირე ჯგუფებში თამაშის შესაძლებლობა ექნებათ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახურობდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ჯგუფური ოთახები აღჭურვილია მზა და მეორადი რესურსით, რომლებიც ცენტრების მიხედვით არის ორგანიზებული; რესურსი უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია ღია და ბავშვების სიმაღლეზე, ზოგიერ ჯგუფში კონკრეტული სივრცეები არ არის გამოყოფილი ავეჯით, ასევე შესაბამისი რესურსი განთავსებულია ბავშვებისთვის განკუთვნილ მაგიდეზე.

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

წარმოდგენილია: ადგილი ბურთის თამაშისათვის, დგას 1 სასრილო და 2 გადახურული რკინის კონსტრუქცია სკამებით; სკამები განთავსებულია ბეტონ-ასფალტის საფარზე, ეზოში არ არის მაგიდა და სკამები, ეზო არ არის აღჭურვილი ისეთი რესურსით, რომელიც ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების განვითარებას, ჯგუფურ კომუნიკაციას და შემოქმედებით თამაშს.

დაწესებულებას მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტის ნაწილში გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა, შესაბამისობის ტიპი-მეტწილი, იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღწერაში იკვეთება საკითხი „არ არის საკმარისი სახელმძღვანელოები და ფიზიკური, სენსორული,შემეცნებითი რესურსი თემატური მიმართულებებისთვის; შიდა და გარე სივრცეები არ არის სრულად აღჭურვილი

კურიკულუმის შესაბამისი რესურსით და ნაწილობრივ შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს; გარე სივრცეში არ არის საქანელა, სათამაშო სახლი, დასაჯდომი სკამები და მაგიდა, ბალანსის აღჭურვილობა, დრამატული სივრცე“. შესაბამისობის გეგმის- „შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობების” გრაფაში იკითხება „ ფინანსების მოძიება, ბაზრის კვლევა/ტენდერის გამოცხადება, შესყიდვის პროცესის განხორციელება”

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება გეგმით განსაზღვრულ ვადებში (რესურსების ორგანიზება კურიკულუმის შესაბამისად).

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების ჯგუფური ოთახი მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ოთახი დაყოფილია ცენტრებად. გარემოში წარმოდგენილია სივრცეები, კერძოდ მყუდრო ადგილი ხალიჩით, ფარდით, ბალიშებითა და პუფებით, სადაც ბავშვებს განმარტოების საშუალება ექნებათ. სივრცე იძლევა შესაძლებლობას მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობების განხორციელებისათვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ჯგუფში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები, რომლებიც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 2 - 4 ან მეტი ბავშვის ერთობლივ მუშაობისათვის; ბაღში არის ასევე დარბაზი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც არ ეწინააღმდეგება კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდებს.

საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებითვის იყენებს შემდეგ მეთოდებს: ობიექტური დაკვირვებების ჩანაწერები; კითხვარები, ჩეკლისტები.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (დანართი 6. ბრძანება N505. 29/11/2024) მერვე მუხლის (ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები) მესამე პუნქტის თანახმად: შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით.

ბავშვის შეფასებისა და შემაჯამებელი შეფასების ფორმები წარმოდგენილია მარეგულირებელი დოკუმენტის დანართის სახით, თუმცა შეფასებისა და დაკვირვების ფორმები არ არის დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია შემდეგ საკითხზე: საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს. დაწესებულებამ ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობის გაბათილების მიზნით წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები: ბრძანება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში ცვლილებების განხორციელების შესახებ (N433. 07/10/2025. დანართი N4), აღნიშნულ დოკუმენტში დანართის სახით დამტკიცებულია: შეფასების ფორმა (დანართი N1), შემაჯამებელი შეფასების ფორმა (დანართი N2), ASQ-SE ასაკის და ეტაპების კითხვარი (დანართი N5), ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა (დანართი N6). აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება: **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბერს N505 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მერვე მუხლის თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში. ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი.

ადგილზე ვიზიტისას აღმზრდელებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ ბავშვზე დაკვირვება და შეფასება ემსახურება ბავშვების ინტერესების გამოვლენას, რასაც შემდგომში გაითვალისწინებენ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბერს N505 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის თანახმად შეფასების პროცესი ხორციელდება წელიწადში ორჯერ, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით, ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით, გ) საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრის დროს, დ) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა



.....
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბერს N505 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მერვე მუხლის (ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები) მე-6 პუნქტის თანახმად ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი, მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახის ჩართულობით. ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლის (ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა) თანახმად კი დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას; ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი 7; ბრძანება N282. 02/08/2025).
2. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის N3 განყოფილების საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 243. 17/07/2025),
3. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის N3 განყოფილების ბაღის საკომუნიკაციო გეგმა (2024-2025 წ.).
4. თანამშრომლებთან შეხვედრის ოქმი *შერჩეული კურიკულუმის გაცნობის მიზნით* (ოქმი N 7)
5. დანართი N6-ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“ (ბრძანება N505. 29/11/2024)
6. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა და გარე სივრცის ამსახველი ფოტოები).
7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაცემული ივნოისი
8. სათამაშოების მიღების აქტი, საკანცელარიო მასალის მიღების აქტი;
9. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბერს N505 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მეთერთმეტე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება) თანახმად, დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს; ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას; გ) რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ მახასიათებლებს/ასპექტებს/კომპონენტებს: ა) პროცესის დაგეგმვა; ბ) განხორციელებული აქტივობები; გ) ბავშვზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება; დ) გამოყენებული მიდგომები (ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება); ე) აღმზრდელის სტრატეგიები. პროცესის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების,

საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე.

მიდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია პერიოდულად 2 წელიწადში ერთხელ ანალიზდება შეფასების გუნდის მიერ, შეფასების გუნდი განისზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის (ბრძანება N-303. 26/08/2024) მეხუთე მუხლი (კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება) არეგულირებს კურიკულუმის შეფასების საფუძველზე, გაკეთებული მიგნებების და რეკომენდაციების მიხედვით კურიკულუმში ცვლილებების შეტანის საკითხს; კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შეიძლება იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა დაწესებულება გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში, რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის „კურიკულუმის შერჩევის გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ (დანართი 5. ბრძანება N 303. 26/08/2024))
2. დანართი N6-ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“ (ბრძანება N505. 29/11/2024)
3. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა: ა) ა) იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი 7; ბრძანება N282. 02/08/2025). ღნიშნული წესის მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობის პროცესი და საკომუნიკაციო აუდიტორიის შერჩევის პრინციპები. კერძოდ, მე-2 მუხლის მიხედვით დაწესებულების მიერ საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: ა) სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა; ბ) საკომუნიკაციო არხების შერჩევა; გ) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა; დ) კომუნიკაციასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების გადანაწილება; ე) განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა; ვ) კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის მექანიზმების განსაზღვრა.

აღნიშნული წესის მიხედვით, შეიმუშავებს საკომუნიკაციო გეგმას, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ღონისძიებების/აქტივობების დასახელება, სამიზნე აუდიტორია, გასახორციელებელი თვეები და პასუხისმგებელი პირები. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული სხვადასხვა წესი, მაგალითად, კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს ბავშვის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობას.

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, რომელშიც გაწერილია ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები (შეხვედრები ტრანზიციის ხელშესაწყობად; ბაღის პერსონალთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან/თემთან შეხვედრები ბაღის მისიის, ხედვის ღირებულებების; კურიკულუმის გაცნობის, ბავშვის შეფასების გაცნობის, სსმ-შშმ აღსაზრდელების მშობლებთან საჭიროებებისა და ინტერესების დაზუსტების, შემდგომი ინტერვეზციის დაგეგმვის მიზნით; საკონსულტაციო საბჭოს წევრების არჩევის; ბაღში ექიმის ვიზიტის, სკოლასა და მუზეუმში ვიზიტების დაგეგმვის მიზნით).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი 7; ბრძანება N282. 02/08/2025) და ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის N12 განყოფილების საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 243. 17/07/2025), რომელიც განსაზღვრავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობას ბაღის საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში.

დოკუმენტში მითითებულია მშობელთა ჩართულობა ბავშვების განვითარების პროცესში, შეფასების შედეგების გაცნობასა და აქტივობების დაგეგმვაში, ასევე ურთიერთობა თემში მოქმედ ორგანიზაციებთან (სკოლა, მუზეუმი).

დაწესებულების მენეჯერთან და მეთოდისტთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ აქვთ ცოდნა თემისა და მშობლების წახალისების მიზნით გამოიყენონ წინასწარ მათი ინფორმირება ღონისძიებაში ჩართვასთან დაკავშირებით, განსახორციელებელი აქტივობის დროის მოახლოებისას მშობელთა დახურულ ჯგუფებში (ე.წ.ჩატებში) განმეორებით განათავსონ ინფორმაცია, წახალისების მიზნით დაწესებულების შესასვლელ სივრცეში მოწყობილია კუთხე „მშობელთა სურვილებისთვის“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი 7; ბრძანება N282. 02/08/2025), აღნიშნული წესის მე-4 მუხლის თანახმად საკომუნიკაციო საშუალებებად/არხებად გამოყენებულია: ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) სოციალური მედიის პლატფორმები, გ) საინფორმაციო დაფები; დ) მოკლე ტექსტური შეტყობინებები/სატელეფონო ზარები; ე) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულების ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ჯგუფის ოთახთან, კედელზე განთავსებული მშობელთა საინფორმაციო დაფები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 02. 08. 2024 წლის N-282 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“;
2. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 17 ივლისი 2025 წლის N-243 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N-3 განყოფილების 2024-25 წლის საკომუნიკაციო გეგმა;
3. ინტერვიუს შედეგები
4. ვიზუალური დათვალიერების შედეგები

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 17 ივლისი 2025 წლის N-243 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებული, ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N 12 განყოფილების 2024-25 წლის

საკომუნიკაციო გეგმა“, სადაც იკითხება მშობლებთან რეგულარული კომუნიკაცია მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით: (შეხვედრები ტრანზიციის ხელშესაწყობად; ბაღის პერსონალთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან/თემთან შეხვედრები ბაღის მისიის, ხედვის ღირებულებების; კურიკულუმის გაცნობის, ბავშვის შეფასების გაცნობის, სსმ-შშმ აღსაზრდელების მშობლებთან საჭიროებებისა და ინტერესების დაზუსტების, შემდგომი ინტერვეზციის დაგეგმვის მიზნით; საკონსულტაციო საბჭოს წევრების არჩევის; ბაღში ექიმის ვიზიტის, სკოლასა და მუზეუმში ვიზიტების დაგეგმვის მიზნით). ინტერვიუს გზით დადასტურდა, რომ აღმზრდელებს აქვთ ცოდნა მშობლებს გააცნონ ბავშვთა უფლებების შესახებ. საკომუნიკაციო გეგმაში არ არის გაწერილი შეხვედრაბი, რომელიც დაადასტურებს მშობლების ცნობიერების ამაღლებას ბავშვთა უფლებების, ასაკობრივი თავისებურებების და განვითარების სპეციფიკის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია.....
.....

რჩევა.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია შემდეგ საკითხზე: დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით; დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობის გაბათილების მიზნით შემდეგი მტკიცებულებები: ბრძანება ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N12 განყოფილების საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ (N 301. 10/09/2025. დანართი N3), ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N12 განყოფილების 2025-2026 წლის საკომუნიკაციო გეგმა (დანართი N3), რომელშიც გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნული აქტივობები (მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით.). აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება: **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა -ა(ა)კ ჰიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (ბრძანება N505. 29/11/2024), აღნიშნული წესის მე-2, მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალი პერიოდულად შობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს უზიარებს ბავშვზე დაკვირვების შედეგად შეგროვებულ ინფორმაციას და შეფასების შედეგებს. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად. აღმზრდელი მშობელს უზიარებს ბავშვის პორტფელიოში თავმოყრილ დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის განვითარების სტანდარტის შესაბამის შეფასებებს და ნამუშევრებს, რომელშიც კარგად ჩანს ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარება. იღებს უკუკავშირს და ითვალისწინებს სამომავლო აქტივობებში მშობლის თანადგომას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მეთოდისტთან და აღმზრდელებთან ინტერვიურებისას დადასტურდა, რომ გააზრებული აქვთ გამოიყენონ თემის რესურსი კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად (სკოლა, მუზეუმი), რაც დასტურდება შესაბამისი ფოტომასალით (სკოლაში, მუზეუმში ვიზიტები.).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, თემში არსებული რესურსების გათვალისწინება დაიგეგმოს აღმზრდელის გრძელვადიან, წლიურ გეგმებში.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 02. 08. 2024 წლის N-282 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ მუხლი-6 (განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა) განსაზღვრავს შემდეგს: კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად, დაწესებულება იყენებს შემდეგ მექანიზმებს ღია შეხვედრებს და კითხვარებს. ვერ იქნა მოძიებული დოკუმენტი/ჩანაწერი, რომელიც დაარეგულირებს ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ უზრუნველყოს ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულების მიერ ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების და საჭიროების შეფასებისა და შესაბამისი ცვლილების განხორციელების შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (1.დოკუმენტის ფორმის შემუშავება და დამტკიცება, რომელშიც აისახება განხორციელებული სამუშაოს შეფასებასთან დაკავშირებული საკითხი/საკითხები; 2.შემუშავებული დოკუმენტაციის წარმოება.), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (გაერთიანების მმართველი) და საჭირო რესურსები-მატერიალური/ადამიანური/ფინანსური (გაერთიანების მეთოდისტი; იურისტი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 02. 08. 2024 წლის N-282 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“;
2. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 29 ნოემბერი 2024 წლის N 505 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“;
3. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორის 17 ივლისი 2025 წლის N-243 (პრიმა) ბრძანებით დამტკიცებული,, ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N-3 განყოფილების 2024-25 წლის საკომუნიკაციო გეგმა“;
4. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐



4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა -ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის სტრუქტურა/ორგანოგრამა, (ადმინისტრაცია) დანართი #2 (გვ-1) და -ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის #12 განყოფილების სტრუქტურა/ორგანოგრამა, დანართი #2 (გვ-2) სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები/პირები;

-ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებულ საბავშვო ბაღის #12 სტრუქტურა/ორგანოგრამა)

- 1.სტრუქტურული ერთეულის მენეჯერი;
2. მეთოდისტი;
3. აღმზრდელი;
4. აღმზრდელი გახანგრძლივებულ ჯგუფში
5. აღმზრდელის თანაშემწე;
6. აღმზრდელის თანაშემწე გახანგრძლივებულ ჯგუფში;
- 7.ფსიქოლოგი;
- 8.ლოგოპედი;
9. მუსიკის მასწავლებელი;
- 10 ექთანი;
11. მომმარაგებელი;
- 12.მწე;
13. დამლაგებელი;
- 14.მრეცხავი;
- 15.მეთეთრეული;

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

16. მეეზოვე;

17. მზარეული

18. მაზარეულის თანამემწე;

